PLITONIT

პროფესიონალად ყოფნა ადვილია

Plitonit Deutsche Qualität

PLITONIT მაქსისლოი უნივერსალი - უნივერსალური ბათქაში ცემენტის საფუძველზე შიდა და გარე სამუშაოებისთვის, ხელით და მანქანით დატანისთვის

პროდუქტი განკუთვნილია ბეტონის, აგურის, აირბეტონის კედლების ხელით და მანქანით გასასწორებლად, ასევე ბეტონისა და რკინაბეტონის ფილების პირაპირებისა და ცალკეული უსწორობების ამოვსებისთვის მშრალ, ტენიან შენობა-ნაგებობებში და გარე სამუშაოებისთვის, როგორიცაა ფასადის მობათქაშება. გამოიყენება საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებისა და ნაგებობების მშენებლობისა და რემონტისას, მათ შორის სასწავლო-აღმზრდელობით, საბავშვო, სკოლამდელ და სამედიცინო დაწესებულებებში (მათ შორის სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სანატორიულ-საკურორტოში). შრის სისქე ერთ წასმაზე 5-დან 50 მმ-მდე.

- სამშენებლო ამოცანების ფართო დიაპაზონი, გასწორების მაქსიმალური შრე (5-50მმ)
- ხელით და მანქანით წასმა
- გარე და შიდა სამუშაოებისთვის, მათ შორის ტენიან შენობა-ნაგებობებში
- ოპტიმალური გადაწყვეტა, ეკონომიურობა მ²-ზე საუკეთესო ხარჯვის წყალობით (13,5 კგ/მ² 10 მმ სისქის შემთხვევაში)
- დამზადებულია სახელმწიფო სტანდარტი 33083-ის მიხედვით

დაფასოება - 25 კგ.

მასალის ხარჯი

1,25-1,35 კგ/მ² 1 მმ სისქის შრის შემთხვევაში

სამუშაოების ჩატარების პირობები

სამუშაოების ჩატარებისას და შემდგომი 3 დღე-ღამის განმავლობაში ჰაერისა და ზედაპირის ტემპერატურა უნდა იყოს +5°C-დან +30°C-მდე ფარგლებში. ხსნარის ნარევის ტემპერატურა სამუშაოების ჩატარების პროცესში – +10°C-დან +30°C-მდე. გარე სამუშაოების ჩატარებისას ზედაპირი დაცული უნდა იყოს ატმოსფერული ნალექებისა და მზის პირდაპირი სხივებისგან.

ზედაპირის მომზადება

საბათქაშე ზედაპირი უნდა იყოს მყარი, არ ექვემდებარებოდეს ჩაჯდომას ან დეფორმაციას, გაწმენდილი ჭუჭყისგან, მტვრისგან, ზეთებისგან, ცხიმებისგან და ყველა სახის საღებავისგან, ასევე აქერცვლადი ელემენტებისგან. თაბაშირის საფუძვლები და მაღალი წყალშთანთქმის მქონე ზედაპირები საბათქაშე სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს PLITONIT-ის პრაიმერით. შემდგომი სამუშაოები უნდა წარიმართოს პრაიმერის სრული გაშრობის შემდეგ.

მანქანით დატანა

მოამზადეთ ბათქაშის სადგური მუშაობისთვის ექსპლუატაციის ინსტრუქციის მიხედვით. დანამეთ ბათქაშის სადგურის ხსნარის შლანგი მასში წყლის გაშვებით. ჩაყარეთ მშრალი ნარევი მიმღებ ბუნკერში და დაარეგულირეთ წყლის მიწოდება ხსნარის სასურველი კონსისტენციის მიხედვით. დაარეგულირეთ ხსნარის მიწოდების „ჩირაღდანი“. ხსნარის პისტოლეტი უნდა იყოს კედლის პერპენდიკულარულად, მისგან, დაახლოებით, 30 სმ დაშორებით. დაიტანეთ ხსნარის ნარევი ჰორიზონტალური ზოლებით, ზემოდან ქვემოთ დაშვებით ისე, რომ ყოველი მომდევნო ზოლი ფარავდეს წინას, ამისთვის ახალი ზოლის ნაშხეფის ცენტრი უნდა მდებარეობდეს წინა ზოლის ქვედა კიდეზე დაარეგულირეთ ფენის სისქე ხსნარის პისტოლეტის გადაადგილების სიჩქარით – რაც უფრო ნელია ის, მით უფრო სქელია ფენა ხსნარის ნარევის წასმის დასრულების შემდეგ საჭიროა ხსნარის პისტოლეტზე საჰაერო ვენტილის გადაკეტვა და ხსნარის შლანგის გამორეცხვა

ხელით დატანა

მშრალი ნარევის ადუღაბებისთვის გამოიყენეთ წყალი სასმელი წყალმომარაგებიდან. თანაფარდობა შერევისას: 25 კგ მშრალ თაბაშირის ნარევზე საჭიროა 4,25-5,5 ლ წყალი. ჩაყარეთ მშრალი ნარევი წინასწარ აზომილ ოთახის ტეპერატურის წყალში და მოურიეთ 2-3 წუთის განმავლობაში ხსნარის შემაზვებლით, ელექტრო მიქსერით ან პირიანი ელექტრო ბურღით (ბრუნვის სიხშირე არაუმეტეს 600 ბრ/წთ) ერთგვაროვანი კონსისტენციის მიღებამდე მიეცით ხსნარის ნარევს არანაკლებ 5 წუთით დალექვის საშუალება და მოურიეთ ხელახლა. განმეორებითი მორევის დროს დასაშვებია წყლის დამატება ზემოთ აღნიშნული თანაფარდობის მაქსიმალურ მნიშვნელობამდე. მზა ხსნარის ნარევის გამოყენების დრო არაუმეტეს 4 საათისა (გამჭოლი ქარი და მაღალი ტემპერატურა ამცირებს ამ დროს). მოისროლეთ ბათქაშის ხსნარის ნარევი ზედაპირზე კელმით ან წაუსვით ფოლადის ფითხით და გაასწორეთ სამართით, სახეხელით ან ფითხით

ყურადღება

საბათქაშე სამუშაოების ჩატარებისას საჭიროა წესების კრებულის 71.13330.2017 „საიზოლაციო და მოსაპირკეთებელი საფარების“ მოთხოვნებით ხელმძღვანელობა. ბათქაშის ზედაპირის სწრაფი გაშრობის შემთხვევაში პირველი დღე-ღამის განმავლობაში საჭიროა მისი დატენიანება. პირაპირის ადგილები უნდა განთავსდეს იქ, სადაც ისინი ნაკლებად შესამჩნევია. მუშაობისას შესვენების გაკეთების შემთხვევაში დაუმთავრებელი ბათქაშის ზედაპირი უნდა დასრულდეს ბასრი კიდით (წებოვანი ლენტის გამოყენებით). შენობების ფასადების მობათქაშებისას საიმედო შეჭიდებულობის უზრუნველსაყოფად იჭიმება ბადე (20x20 ან 40x40 მმ უჯრედების ზომით). ბადე მაგრდება კედელზე დუბელებით ჭადრაკული წყობით, 30 სმ-ის დაშორებით, ბათქაშის შრის დატანისას ჩაღუნვის თავიდან ასაცილებლად. სამუშაოების ჩატარების პროცესში საჭიროა დროდადრო ხსნარის ნარევის მორევა. მზა ხსნარის ნარევში აკრძალულია წყლის დამატება. მითითებული მახასიათებლები მოქმედებს გარემოს 20±2°C ტემპერატურისა და ჰაერის 60±10% ფარდობითი ტენიანობის პირობებში.

უსაფრთხოების ზომები

ნარევი მიეკუთვნება საშიშროების მე-4 კლასს (მცირე საშიშროების მქონე ნივთიერებები) სახელმწიფო სტანდარტის 12.1.007-ის მიხედვით. სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ ხელთათმანები, დამცავი სათვალეები, სასუნთქი ორგანოების დამცავი საშუალებები. მოერიდეთ ნარევის კანზე და თვალებში მოხვედრას. თვალში მოხვედრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ამოიბანეთ წყლის დიდი რაოდენობით. მოარიდეთ ბავშვებს.

ტრანსპორტირებისა და შენახვის პირობები

ნარევის ტრანსპორტირება უნდა მოხდეს დახურულ სატრანსპორტო საშუალებებში ტვირთების გადაზიდვის წესების შესაბამისად. ტომრები მშრალი ნარევით უნდა იქნას შენახული დახურულ მშრალ შენობა-ნაგებობებში, რომლებიც უზრუნველყოფს შეფუთვის დაცულობა და აარიდებს დატენიანებისგან. მწარმოებლის ტარაში შენახვის ვადა - 12 თვე დამზადების დღიდან.

შემადგენლობა

ქვიშა, პორტლანდცემენტი, მინერალური შემავსებელი, მაარმირებელი ბოჭკოები, მამოდიფიცირებელი დანამატები

მწარმოებლის გარანტია

მწარმოებელი იძლევა გარანტიას, რომ ნარევები შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტის 33083-ისა და ტექნიკური პირობების 23.64.10-151-51552155-2022-ის მოთხოვნებს, თუ მომხმარებელი დაიცავს ტრანსპორტირების, შენახვის პირობებს და ამ ინსტრუქციის მითითებებს. მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი მასალასთან მუშაობის ტექნოლოგიის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასევე მისი გამოყენებისთვის იმ მიზნებსა და პირობებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მიცემული ინსტრუქციით. წონა ნეტოდან გადახრა შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტ 8.579-2001-ს. პროდუქცია გამოყენება ნებადართულია სამოქალაქო მშენებლობის ყველა სახეობაში (ბუნებრივი რადიონუკლიდების ეფექტური ხვედრითი აქტივობა<370 ბკ/კგ; "რადიაციული უსაფრთხოების ნორმების" (რადიაციული უსაფრთხოების ნორმები-99/2009) სანიტარული წესებისა და ნორმების 2.6.1.2523–09-ის I კლასის მიხედვით).

ტექნიკური მახასიათებლები

ნარევისთვის მშრალ მდგომარეობაში	
შემავსებლის სიმსხვილე	0,63 მმ
ყველაზე დიდი ზომის მარცვლების შემცველობა	არაუმეტეს 1,5%
წყლის რაოდენობა 1 კგ ნარევზე	0,17-0,22 ლ
გამოსაყენებლად მზა ნარევისთვის	
ძვრადობა, კძ (სმ)	კძ 3 (8-12)
წყლის შეკავების უნარი	არანაკლებ 95%
გამაგრებული ხსნარისთვის	
ხსნარის სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე, 28 დღე-ღამის შემდეგ, მპა (სიმტკიცის კლასი)	არანაკლებ 4 მპა (სიმტკიცის კლასიII)
ხსნარის ბეტონთან შეჭიდებულობის ძალვა	არანაკლებ 0,3 მპა
ორთქლშეღწევადობის კოეფიციენტი, მგ/(მ*სთ*პა)	0,061
ექსპლუატაციის ტემპერატურა	-50°C-დან +60°C-მდე
ყინვამედეგობის ხსნარის მარკა	არანაკლებ F75
მდგრადი ბზარების წარმოქმნის მიმართ	ვიზუალურად ბზარების არარსებობა ბათქაშის შრის სისქის მთელ დიაპაზონზე
ბუნებრივი რადიონუკლიდების ხვედრითი ეფექტური აქტივობა	არაუმეტეს 370 ბკ/კგ